



საქართველოს ეროვნული ბანკი
National Bank of Georgia

თავის მიმოხილვა

2024


ინფლაცია	3
საბანკო სექტორი	5
საბარეო სექტორი	7
სავალუტო ბაზარი.....	11
ფულადი ბაზარი.....	14
მონეტარული აგრიგატები.....	15

“თვის მიმოხილვა“
მომზადებულია საქართველოს ეროვნული ბანკის
მაკროეკონომიკისა და სტატისტიკის დეპარტამენტის მიერ


ინფლაცია

2024 წლის იანვარში წლიურმა ინფლაციამ 0.0% შეადგინა, ხოლო დეკემბერთან შედარებით ფასები 0.3%-ით გაიზარდა. დაბალ ინფლაციას, ერთი მხრივ, ადგილობრივი ინფლაციის კლებადი ტენდენცია განაპირობებს, რაც მკაცრი მონეტარული პოლიტიკის შედეგია. ამავდროულად, მსოფლიოში სურსათის ფასების კლების ტენდენცია მეცნილად გრძელდება. ლარის რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი მყარ პოზიციას ინარჩუნებს. ეს კი საგარეო შოკების ეტაპობრივ მიღვევასთან ერთად იმპორტირებული ინფლაციის დაბალ დონეზე შენარჩუნებას ხელს უწყობს. დეკემბერსა და იანვარში წითელ ზღვაში არსებულმა დაძაბულობამ საერთაშორისო ტრანსპორტირების ფასები მკვეთრად გაზარდა. ამ ფაქტს ჯერჯერობით საქონლის ფასებზე მნიშვნელოვანი გავლენა არ მოუხდენია. ტრანსპორტირების ფასების შემდგომი ცვლილება წითელ ზღვაში მიმდინარე კონფლიქტის ხანგრძლივობასა და ინტენსივობაზე იქნება დამოკიდებული.

თვის ინფლაცია 0.3% (წლილი)



წლიური ინფლაცია 0.0% (წლილი)



წყარო: საქსტატი; საქართველოს ეროვნული ბანკის გაანგარიშებები


წყარო: საქსტატი; საქართველოს ეროვნული ბანკის გაანგარიშებები

იანვარში დეკემბერთან შედარებით, გამოსარჩევია ელექტროენერჯის საშუალოდ 13.2%-ით გაიზარდა, რამაც თვის ინფლაცია 0.3 პროცენტული პუნქტით (პპ) შეამცირა.

წლიურ წრეში აღსანიშნავია სურსათზე 2.8%-ით ფასების კლება, რის გამოც ინფლაციამ 0.9 პპ-ით მოიკლო. სურსათიდან გამოსარჩევია მზესუმზირის ზეთის, პურის, კარტოფილის და ყველის გაიზარდა, რამაც იანვარში ინფლაცია ჯამში 1.4 პპ-ით შეამცირა. ძროხის ხორცის გაძვირებამ კი ინფლაცია 0.4 პპ-ით გაზარდა. ამდენითვე გაზარდა ინფლაცია საბანკო მომსახურების გაძვირებამ. იანვარში ბენზინის ფასმა თვიურად ოდნავ იკლო, თუმცა გასული წლის იანვრის ფასს 10.4%-ით გადააჭარბა და ინფლაციის ზრდაზე 0.4 პპ-ით გავლენა იქონია.


საბაზო ინფლაციამ, რომელიც სამომხმარებლო კალათიდან მალაღი მერყეობით გამორჩეულ სურსათის, ენერგომადარებლების და სიგარეტის ფასებს გამორიცხავს 1.2% შეადგინა.

მთლიანი და საბაზო ინფლაცია



წყარო: საქსტატი

ჯგუფების წლილი მთლიან ინფლაციაში




წყარო: საქსტატი; საქართველოს ეროვნული ბანკის გაანგარიშებები

ადგილობრივად წარმოებული პროდუქტების ინფლაციის კლება გრძელდება, რაც მეცნილად სურსათის ფასების წლიურ გაიზარდას და ზოგიერთ მომსახურებაზე (ბინის ქირა, სამედიცინო მომსახურება, ქალაქის ტრანსპორტი და ა.შ) საბაზო ეფექტის ამოწურვას უკავშირდება. ადგილობრივად წარმოებული პროდუქტების ინფლაცია იანვარში 2.7%-მდე შემცირდა. სურსათის ფასების, ელექტროენერჯისა და ზოგიერთი მედიკამენტის წლიური გაიზარდა შერეულად წარმოებული პროდუქტების (-4.2%) დეფლაციას იწვევს. იმპორტირებული პროდუქტების დეფლაცია მცირდება (-0.2%) და ამის მიზეზი პირველ რიგში საწვავის ფასების წლიური ზრდა და საბაზო ეფექტია.

ადგილობრივ ინფლაციას მომსახურება (5.5%) განაპირობებს. მომსახურების წვლილი ადგილობრივ ინფლაციაში 2.8 პპ-ია, შესაბამისად, მომსახურების გამოკლებით ადგილობრივ პროდუქტებში მცირედი დეფლაცია (0.1%) ფიქსირდება. თავის მხრივ, მომსახურების ინფლაციაში ყველაზე მაღალი წვლილი საბანკო მომსახურების გაძვირებას (1.5 პპ მომსახურების ინფლაციაში) აქვს.

იმპორტული, შერეული და ადგილობრივად წარმოებული პროდუქტების ინფლაცია და მათი წვლილები მთლიან ინფლაციაში



წყარო: საქსტატი

წყარო: საქსტატი


ინფლაცია ჯგუფების მიხედვით	2024 წლის წონები	იან24/დეკ23		იან24/იან23	
		ინფლაცია	წვლილი	ინფლაცია	წვლილი
სულ	100.0%	0.3%	0.3%	0.0%	0.0%
სურსათი და უალკოჰოლო სასმელები	33.4%	1.7%	0.6%	-2.4%	-0.8%
სურსათი	30.4%	1.8%	0.6%	-2.8%	-0.9%
პური და პურპროდუქტები	6.1%	0.2%	0.0%	-9.0%	-0.6%
ხორცი და ხორცპროდუქტები	6.8%	0.7%	0.0%	6.1%	0.4%
თევზი	0.4%	2.9%	0.0%	1.9%	0.0%
რძე, ყველი და კვერცხი	6.7%	1.7%	0.1%	-4.1%	-0.3%
ზეთი და ცხიმი	2.5%	2.1%	0.1%	-15.9%	-0.5%
ხილი, ყურძენი	1.6%	4.7%	0.1%	19.7%	0.3%
ბოსტნეული, ბალახეული, კარტოფილის და სხვა ბოლქვოვანების ჩათვლით	3.2%	5.9%	0.2%	-11.3%	-0.4%
შაქარი, ჯემი, თაფლი, სიროფები, შოკოლადი, საკონდიტრო ნაწარმი	2.3%	3.9%	0.1%	2.7%	0.1%
კვების სხვა პროდუქტები	0.7%	-0.9%	0.0%	-3.8%	0.0%
უალკოჰოლო სასმელები	2.9%	0.1%	0.0%	2.3%	0.1%
ალკოჰოლური სასმელები და თამბაქო	6.8%	0.7%	0.0%	3.5%	0.2%
დანსაცმელი და ფეხსაცმელი	4.0%	-1.9%	-0.1%	0.5%	0.0%
საცხოვრებელი სახლი, წყალი, ელექტროენერგია, აირი და სათბობის სხვა სახეები	8.7%	-3.6%	-0.3%	-1.8%	-0.2%
ავტო, საოჯახო ნივთები და მორთულობა, სახლის მოვლა-შეკეთება	5.5%	1.4%	0.1%	-4.3%	-0.2%
ჯანმრთელობის დაცვა	9.4%	1.1%	0.1%	-3.3%	-0.3%
ტრანსპორტი	12.0%	-0.6%	-0.1%	4.3%	0.5%
კავშირგაბმულობა	3.7%	-0.1%	0.0%	-2.2%	-0.1%
დასვენება, გართობა და კულტურა	3.3%	-0.6%	0.0%	-2.4%	-0.1%
განათლება	4.6%	0.0%	0.0%	3.5%	0.2%
სასტუმროები, კაფეები და რესტორნები	3.3%	0.6%	0.0%	5.9%	0.2%
სხვადასხვა საქონელი და მომსახურება	5.2%	0.3%	0.0%	9.2%	0.4%
ხანმოკლე მოხმარების საქონელი	63.1%	0.6%	0.4%	-1.7%	-1.1%
საშუალო მოხმარების საქონელი	7.2%	-1.3%	-0.1%	-1.7%	-0.1%
ხანგრძლივი მოხმარების საქონელი	4.9%	0.8%	0.0%	-3.3%	-0.2%
მომსახურება	24.8%	0.0%	0.0%	5.5%	1.3%

წყარო: საქსტატი

საბანკო სექტორი


დეკემბერში, საბანკო სექტორის სადეპოზიტო ვალდებულებები წლიურად 6.2 მლრდ ლარით გაიზარდა (თვიურად 345.5 მლნ ლარით გაიზარდა) და 50.5 მლრდ ლარი შეადგინა. სადეპოზიტო ვალდებულებები წლიურად 13.9%-ით გაიზარდა, მეტწილად ეროვნული ვალუტის დეპოზიტების მატების გავლენით. დეკემბერში წინა თვესთან შედარებით, ეროვნული ვალუტის სადეპოზიტო ვალდებულებები 83.7 მლნ ლარით (0.3%-ით) გაიზარდა და 24.7 მლრდ ლარი შეადგინა. აღნიშნული ზრდა, მიმდინარე ანგარიშების მატებამ გამოიწვია. რაც შეეხება უცხოური ვალუტის დეპოზიტებს, წინა თვესთან შედარებით 146.7 მლნ ლარით გაიზარდა. სამთავრობო სექტორის დეპოზიტები 1,156.6 მლნ ლარით შემცირდა.

სადაპოზიტო ვალდებულებები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


სადაპოზიტო ვალდებულებები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


დეკემბერში დეპოზიტების საშუალო შენონილი საპროცენტო განაკვეთები (მთავრობის გარეშე) წინა თვესთან შედარებით 0.1 პპ-ით შემცირდა და 6.5% შეადგინა. ეროვნული ვალუტით დენომინირებულ დეპოზიტებზე საშუალო შენონილი წლიური საპროცენტო განაკვეთი 0.2 პპ-ით 8.7%-მდე გაიზარდა, ხოლო უცხოური ვალუტით განთავსებულ დეპოზიტებზე საპროცენტო განაკვეთი 0.2%-მდე შემცირდა და 1.5% შეადგინა. რეზიდენტების ლარის ვადიანი დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთი 0.1 პპ-ით გაიზარდა და 11.7% შეადგინა, ხოლო აშშ დოლარის ვადიანი დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთი 0.2 პპ-ით 2.4%-მდე შემცირდა. ევროს ვადიანი დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთი წინა თვესთან შედარებით მცირედით გაიზარდა და 1.3% შეადგენს.

დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთები (მთავრობის გარეშე, ნაკადი)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


რეზიდენტების ვადიანი დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთები ვალუტების მიხედვით (ნაკადი)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


უცხოური და ეროვნული ვალუტის დეპოზიტების ზრდის ცემპებიდან გამომდინარე, დეპოზიტების დოლარიზაცია, 2023 წლის დეკემბერში, წინა თვესთან შედარებით 0.2 პპ-ით გაიზარდა და 50.7% შეადგინა. დეკემბრის ბოლოს, ფიზიკური პირების დეპოზიტების დოლარიზაცია 1.5 პპ-ით 65.3%-მდე შემცირდა, ხოლო იურიდიული პირების დეპოზიტების დოლარიზაცია, წინა თვესთან შედარებით, 1.4 პპ-ით 38.1%-მდე შემცირდა. ფიზიკური პირების ვადიანი დეპოზიტების დოლარიზაცია დეკემბერში, წინა თვესთან შედარებით 0.2 პპ-ით 62.7%-მდე გაიზარდა.

დეკონომიკის დოლარიზაცია (კურსის ეფექტის გამორიცხვით)




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ფიზიკური პირების ვალდანი დეკონომიკის დოლარიზაცია (კურსის ეფექტის გამორიცხვით)




დეკემბერში, გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით, სესხები წლიურად 17.1%-ით გაიზარდა. სესხების ზრდის ცემბმა წინა თვესთან შედარებით 0.9 პპ-ით მოიმადა. დეკემბერში, ლარით დაკრედიტება წლიურად 17%-ით, 28.8 მლრდ ლარამდე გაიზარდა და მთლიანი სესხების ზრდაში 9.3 პპ-იანი წვლილი შეიტანა. უცხოური ვალუდით დაკრედიტება (გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით) 17.3%-მდე გაიზარდა და მთლიანი სესხების ზრდაში 7.8 პპ-იანი წვლილი შეადგინა. უცხოური ვალუდით დაკრედიტების ზრდა ძირითადად ბიზნეს სესხების ზრდით არის განპირობებული, რომლის წვლილი მთლიანი სესხების ზრდაში 10.4 პპ-ია. იპოთეკური სესხების წვლილმა მთლიანი სესხების ზრდაში 2.1 პპ-ზე შეადგინა. სამომხმარებლო სესხების ზრდის ცემპი დაჩქარდა და მთლიან სესხების ზრდაში 4.3 პპ-იანი წვლილი შეიტანა.

სესხების წლიური ზრდის დეკომპოზიციონი (კურსის ეფექტის გამორიცხვით)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

სესხები მიზნობრიობის მიხედვით (წლიური ზრდის დეკომპოზიციონი; კურსის ეფექტის გამორიცხვით)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დეკემბერში, სესხების საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი წინა თვესთან შედარებით 0.8 პპ-ით შემცირდა და 12.9% შეადგინა. ეროვნული ვალუდით გაცემული სესხების საპროცენტო განაკვეთი 0.8 პპ-ით 15.3%-მდე შემცირდა, ხოლო უცხოური ვალუდით გაცემულ კრედიტებზე საპროცენტო განაკვეთი 0.4 პპ-ით 9.0%-მდე გაიზარდა.

საპროცენტო განაკვეთები იურიდიულ პირებზე გაცემულ სესხებზე (ნააკალი)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საპროცენტო განაკვეთები იპოთეკურ სესხებზე (ნააკალი)




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დეკემბერში, იურიდიულ პირებზე ეროვნული ვალუტით გაცემული სესხების საპროცენტო განაკვეთი 0.2 პპ-ით 12.9%-მდე შემცირდა. იპოთეკურ სესხებზე ეროვნული ვალუტით გაცემული სესხების საპროცენტო განაკვეთი კი 0.2 პპ-ით შემცირდა და 11.2% შეადგინა. დეკემბერში, წინა თვესთან შედარებით, იურიდიულ პირებზე უცხოური ვალუტით გაცემული სესხების საპროცენტო განაკვეთი 0.5 პპ-ით 9.5%-მდე გაიზარდა. უცხოური ვალუტით გაცემული იპოთეკური სესხების საპროცენტო განაკვეთები 0.8 პპ-ით 6.8%-მდე შემცირდა.


დეკემბერში მთლიანი საკრედიტო პორტფელის დოლარიზაცია, წინა თვესთან შედარებით, 0.04 პპ-ით შემცირდა და 45.2%-ს გაუცოლდა. იურიდიული პირების სესხების დოლარიზაცია წინა თვესთან შედარებით 0.6 პპ-ით და 63.6%-მდე შემცირდა, ხოლო ფიზიკური პირების სესხების დოლარიზაცია 0.2%-მდე გაიზარდა და 28.9%-ის დონეზეა. დეკემბერში ვადაგადაცილებული სესხები წინა თვესთან შედარებით 102.5 მლნ ლარით შემცირდა და 391.0 მლნ ლარს გაუცოლდა. ვადაგადაცილებული სესხების 44.6% ეროვნული ვალუტით არის დენომინირებული.

დოლარიზაცია (კურსის ეფექტის გამორიცხვით)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ვადაგადაცილებული ღვაწლიანობა




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საბარეო სექტორი


2023 წლის დეკემბერში საქონლის რეგისტრირებული საგარეო ვაჭრობის დეფიციტი წინა წელთან შედარებით 13.6%-ით შემცირდა და 789.5 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. **საგარეო ვაჭრობის დეფიციტის შემცირება იმპორტის კლებას უკავშირდება.** აღნიშნულ თვეში, საქონლის იმპორტმა წლიურად 11.3%-ით 1,303.7 მლნ აშშ დოლარამდე დაიკლო, ხოლო ექსპორტმა წლიურად 7.5%-ით შემცირდა და 514.2 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

საქონლის ექსპორტ-იმპორტისა და საგარეო ბალანსის დინამიკა



წყარო: საქსტატი


საგარეო ბალანსი ქვეყნების მიხედვით (დეკემბერი 2023)




წყარო: საქსტატი

იმპორტი - დეკემბერში საქონლის იმპორტი წლიურად 11.3%-ით შემცირდა. საქონლის იმპორტის კლება უმეტესად შუალედური სახის საქონლის იმპორტის შემცირებამ განაპირობა. სამომხმარებლო და საინვესტიციო საქონლის იმპორტმა კი ზომიერად დაიკლო. შუალედური სახის საქონლის იმპორტის კლება უმეტესად რეექსპორტისთვის განკუთვნილი სპილენძის მადნებისა და კონცენტრატების მნიშვნელოვანმა შემცირებამ განაპირობა. გარდა ამისა, ნავთობპროდუქტებისა და ძვირფასი ლითონების მადნების იმპორტმა წლიურად დაიკლო. მეორე მხრივ, ნახშირბადიანი ფოლადის ნაგლინის, იმუნური შრატებისა და შაქრის იმპორტმა მოიმატა. სამომხმარებლო სახის საქონლის კლებაში ყველაზე მეტი წვლილი მსუბუქი ავტომობილების გარდა, საცელეფონო აპარატების საქონლის იმპორტმა შეიძინა, თუმცა ამავე ჯგუფში დაიკლო ნავთობისა და ნავთობპროდუქტების, ასევე სამკურნალო საშუალებების იმპორტმა. აღსანიშნავია, რომ მსხვილი საიმპორტო ჯგუფის - მსუბუქი ავტომობილების - იმპორტმა წლიურად კი დაიკლო, თუმცა მათი მოცულობა მაინც მნიშვნელოვან წილს იკავებს მთლიან იმპორტში. საინვესტიციო საქონლის იმპორტის კლება უმეტესად გამომთვლელი მანქანებისა და მათი ბლოკების, საცელეფონო აპარატებისა და 10 მგზავრზე მეტი გადაწყვენი ავტომობილების გაყიდვების კლებამ განაპირობა. მთლიანობაში, დეკემბერში წლიურად საქონლის იმპორტი რეალურად 3.8%-ით გაიზარდა.

საქონლის იმპორტი სასაქონლო კატეგორიების მიხედვით (წვლილი ზრდაში)



საქონლის რეალური იმპორტი (წლიური ცვლილება)



ძირითადი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნებიდან იმპორტის კლებაში მალალი წვლილი შეიძლება იყოს რუსეთმა, რაც ნავთობისა და ნავთობპროდუქტების, ასევე ნავთობაირების, ხორბალი-მესლინისა და ქვანახშირის შემოტანის შემცირებას უკავშირდება. სომხეთიდან იმპორტის კლება უმეტესად სპილენძის, ასევე ძვირფასი ლითონების მადნებისა და კონცენტრატების, ხოლო უკრაინიდან მსუბუქი ავტომობილებისა და კოპონის შემცირებულმა იმპორტმა განაპირობა. სხვა ქვეყნებიდან აღსანიშნავია იაპონიიდან და გერმანიიდან მსუბუქი ავტომობილების, ჩინეთიდან ფოლადის ნახშირბადიანი ნაგლინის, არაბთა გაერთიანებული საამიროებიდან და შვედეთიდან საცლექტრო აპარატების, ხოლო რუმინეთიდან ნავთობისა და ნავთობპროდუქტების მნიშვნელოვანი კლება. ამის საპირისპიროდ, ევროკავშირის ქვეყნებიდან იმპორტის მატების კუთხით გამოირჩეოდა ბულგარეთი - ნავთობისა და ნავთობპროდუქტების, თურქეთიდან - სამკურნალო საშუალებებისა და შავი ლითონის კონსტრუქციების, ბრაზილიიდან - შაქრისა და ღორის გაყინული ხორცის, შვეიცარიიდან იმუნური შრატების შესყიდვების ზრდის გამო. პოლონეთიდან სხვა საფრენი აპარატების, ხოლო ლიეჩუვადან სიგარეტები-სიგარილებისა და შერეული საქონლის გაზრდილმა შემოტანამ განაპირობა. აღნიშნულ თვეში, 7 ძირითად სავაჭრო პარტნიორზე მთლიანი იმპორტის 61% მოდიოდა. წინა წელთან შედარებით ქვეყნების მიხედვით იმპორტი უფრო ნაკლებად დივერსიფიცირებული იყო.


დეკემბერში იმპორტირებულ საქონელში წამყვანი წილი **მსუბუქ ავტომობილებს, ასევე ნავთობპროდუქტებსა და ნავთობაირებს (27%-იანი წილი მთლიან იმპორტში) ეჭირა**. აღსანიშნავია, რომ დეკემბერში იმპორტი სასაქონლო კატეგორიების მიხედვით წინა წლის დეკემბერთან შედარებით უფრო მეტად დივერსიფიცირებული იყო.

საქონლის იმპორტი პროდუქციის კატეგორიების მიხედვით (დეკემბერი 2023, მლნ აშშ დოლარი)

ნავთობი და ნავთობპროდუქტები, 114	სამკურნალო საშუალებები დაფასოებული, 53	საცლექტრო აპარატები, 44	
	საცვირთო ავტომობილები, 18	ფოლადის წნელები, 16	შავი მეტალის დრუქები, 13
მსუბუქი ავტომობილები, 178	ნავთობის აირები, 58	სიგარეტი, სიგარეტები, 17	კაკაოს შაპროდუქტები, 13

წყარო: საქსტატი


ქვეყნების წილი საქონლის იმპორტში (დეკემბერი 2023)



წყარო: საქსტატი


ექსპორტი - დეკემბერში საქონლის რეგისტრირებული ექსპორტი წლიურად 7.5%-ით შემცირდა. საქონლის ექსპორტის კლება მეტწილად შუალედური საქონლის ექსპორტის შემცირებამ განაპირობა, ხოლო სამომხმარებლო საქონლის ექსპორტმა მნიშვნელოვნად მოიმატა. შუალედური საქონლის ექსპორტის კლებაში მნიშვნელოვანი წვლილი (38.4 პპ) სპილენძის მადნებმა და კონცენტრატებმა შეიძინა. გარდა ამისა, მინერალური და ქიმიური სასუქების გაყიდვებმა ასევე დაიკლო. თუმცა დეკემბერში ფეროშენადნობების ექსპორტი წინა თვეებისგან განსხვავებით ამჯერად მნიშვნელოვნად გაიზარდა. სამომხმარებლო სახის საქონლის ჯგუფში მსუბუქი ავტომობილების, ციკლუსის, სპირტიანი სასმელებისა და სამკურნალო საშუალებების ექსპორტმა კვლავ მოიმატა, რამაც მთლიანი ექსპორტის უფრო მეტად კლება შეანელა. საინვესტიციო საქონლიდან 10 მგზავრზე მეტი გადაწყვენი ავტომობილების, გამოთვლელი მანქანებისა და მათი ბლოკების, სამშენებლო მანქანა-დანადგარებისა და მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ექსპორტმა დაიკლო, ხოლო საცვირთო ავტომობილების ექსპორტმა მოიმატა. დეკემბერში საქონლის ექსპორტის მოცულობამ რეალურად 2.6%-ით დაიკლო.

საქონლის ექსპორტი სასაქონლო კატეგორიების მიხედვით (წვლილი ზრდაში)



წყარო: საქსტატი

საქონლის რეალური ექსპორტი (წლიური ზრდა)



წყარო: საქსტატი; საქართველოს ეროვნული ბანკის გაანგარიშება

რეგიონის ქვეყნებიდან საექსპორტო შემოსავლების კლებაში მალალი წვლილი შეიძლება სომხეთში ექსპორტის შემცირებამ, რაც უმეტესად 10 მგზავრზე მეტი გადამყვანი ავტომობილების, ასევე გამომთვლელი მანქანებისა და მათი ბლოკების გაყიდვების კლებამ განაპირობა, თუმცა სპირტიანი სასმელებისა და მსუბუქი ავტომობილების ექსპორტი ზომიერად გაიზარდა. გარდა ამისა, აზერბაიჯანში მსუბუქი ავტომობილების, ხოლო უზბეკეთში სამკურნალო საშუალებების ექსპორტი მნიშვნელოვნად შემცირდა. დანარჩენი ქვეყნებიდან აღსანიშნავია ჩინეთსა და ბულგარეთში სპილენძის მადნებისა და კონცენტრატების, პერუში, პანამასა და ინდოეთში მინერალური და ქიმიური სასუქების, ბელარუსში სპირტიანი სასმელებისა და ყურძნის ღვინოების გაყიდვების კლება. ამის საპირისპიროდ, რეგიონის სხვა ქვეყნებში ექსპორტი გაიზარდა. ყირგიზეთთან, ყაზახეთთან და ტაჯიკეთთან, მსუბუქი ავტომობილების მალალი რექსპორტის გამო, ამ ქვეყნებთან საგარეო ვაჭრობის ბალანსი მთელი წლის მანძილზე დადებითი იყო. აღსანიშნავია, რომ წინა თვეებისაგან განსხვავებით, უზბეკეთში სამკურნალო საშუალებების ექსპორტი შემცირდა. ამის საპირისპიროდ, აშშ-ში ფეროშენადნობების, შვეიცარიაში დაუმუშავებელი ოქროს, ხოლო თურქეთში ფეროშენადნობების ექსპორტი გაიზარდა. აღნიშნულ თვეში, 7 ძირითად სავაჭრო პარტნიორზე მთლიანი ექსპორტის 74% მოდიოდა. წინა წელთან შედარებით ქვეყნების მიხედვით ექსპორტი უფრო ნაკლებად დივერსიფიცირებული იყო.


დეკემბერში საქონლის ექსპორტის უდიდესი წილი მსუბუქ ავტომობილებს (35%-იანი წილი მთლიან ექსპორტში) ეჭირა. მალალი იყო ასევე ფეროშენადნობების, ციფრუსების, სპირტიანი სასმელებისა და სამკურნალო საშუალებების ექსპორტი. საქონლის ექსპორტის ზრდაში ყველაზე დიდი წვლილი (7.0 პპ მთლიან ცვლილებაში) მსუბუქი ავტომობილების ექსპორტმა შეიძინა, რომელიც წლიურად 27%-ით გაიზარდა. ექსპორტის მოცულობაზე ნახშირბადიან ფოლადის ნაგლინზე და ტურბორეაქტიული ხრახნებზე საგარეო მოთხოვნის არსებითი მატება დადებითად აისახა. ამის საპირისპიროდ, ჯამურად სპილენძის მადნებისა და კონცენტრატების, მინერალური და ქიმიური სასუქების, სიგარეტები-სიგარილების, რეზინის პნევმატური სალტებისა და მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ექსპორტი შემცირებულია. წინა წელთან შედარებით სასაქონლო ჯგუფების მიხედვით ექსპორტი უფრო ნაკლებად დივერსიფიცირებული იყო.

საქონლის ექსპორტი სასაქონლო კატეგორიების მიხედვით (დეკემბერი 2023, მლნ აშშ დოლარი)

ფეროშენადნობები, 32	ციფრუსები, 22		
სპირტიანი სასმელები, 19	სამკურნალო საშუალებები, 18	სასუქები, 11	
ყურძნის ღვინოები, 19	ვირფასი ლითონების მადნები, 11	კაკალი, 10	მინერალური წყლები, 10
მსუბუქი ავტომობილები, 180			

წყარო: საქსტატი

ქვეყნების წილი საქონლის ექსპორტში (დეკემბერი 2023)




წყარო: საქსტატი

ფულადი გზავნილები - დეკემბერში საქართველოში გადმორიცხული თანხების მოცულობამ წინა წლის იმავე პერიოდთან შედარებით 42.4%-ით დაიკლო და 308.3 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო საქართველოდან გადარიცხული თანხების მოცულობა 0.6%-ით 34.0 მლნ აშშ დოლარამდე გაიზარდა.


წლიურად ფულადი გზავნილების შემცირებას საბაზო ეფექტი და რუსეთიდან ფულადი გზავნილების კლება განაპირობებს. დეკემბერში, რუსეთიდან ფულადი გადმორიცხვები წლიურად 78%-ით, 71 მლნ აშშ დოლარამდე, შემცირდა. თუმცა, მალალი ცემპით ზრდას განაგრძობს აშშ-დან გადმორიცხული ფულადი სახსრები (34.7%-ით). ასევე, რეგიონის ქვეყნებიდან, ყაზახეთიდან გადმორიცხული ფულადი სახსრები მნიშვნელოვნად (15.0%-იანი ზრდა) გაიზარდა. **კვლავ მნიშვნელოვანი წვლილი აქვს ევროკავშირის ქვეყნებიდან, იტალიიდან და გერმანიიდან გადმორიცხული ფულადი გზავნილების ზრდას.** დეკემბერში, რეგიონის ქვეყნებიდან, ყირგიზეთიდან და აზერბაიჯანიდან გადმორიცხულმა თანხებმა დაიკლო, შესაბამისად 77.5%-ით და 11.2%-ით. აღსანიშნავია, უკრაინიდან გადმორიცხული ფულადი გზავნილები წინა წლის მინიმალურ დონესთან შედარებით გაზრდილია. **დეკემბერში, ფულადი გზავნილების ძირითად წყაროს ევროკავშირის ქვეყნები (40.7%), რუსეთი (22.9%) და აშშ (15.0%) წარმოადგენდა.** ევროკავშირის ქვეყნებიდან აღსანიშნავია იტალიის, საბერძნეთისა და გერმანიის მაღალი წილი მთლიან ფულად გზავნილებში.

ქვეყნების წილი სწრაფ ფულად გზავნილებაში (დეკემბერი 2023)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ფულადი გზავნილების ზრდა (წვლილი ზრდაში ქვეყნების მიხედვით)




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

სავალუტო ბაზარი


დეკემბერში, წინა თვესთან შედარებით, ლარის საშუალო გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 2.7061-დან 2.6861-მდე (0.7%-ით) გამყარდა, ხოლო ევროს მიმართ 2.9190-დან 2.9331-მდე (0.5%-ით) გაუფასურდა. თვის ბოლოს ლარის ოფიციალურმა გაცვლითმა კურსმა აშშ დოლარისა და ევროს მიმართ 2.6894 და 2.9753 შეადგინა. დეკემბერში ლარი-დოლარის გაცვლითი კურსის მაქსიმალური მნიშვნელობა 2.7086 იყო, მინიმალური კი - 2.6684.

ლარის ნომინალური გაცვლითი კურსი აშშ დოლარისა და ევროს მიმართ



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ლარი/დოლარის გაცვლითი კურსის ყოველთვიური მერყეობის დიაგრამა



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დეკემბერში, საშუალო კურსთან შედარებით, გაცვლითი კურსის მინიმალური და მაქსიმალური მნიშვნელობები დაახლოებით თანაბრად იყო გადახრილი.


დეკემბერში, საშუალოდ, დოლართან მიმართებაში შესამჩნევია ევროსა და ლარის გამყარება, გაუფასურებას განაგრძობს თურქული ლირა, სომხური დრამი და რუსული რუბლი, ხოლო აზერბაიჯანული მანათი პრაქტიკულად უცვლელი დარჩა.

თვის განმავლობაში საშუალო კურსიდან გადახრა (ლარი/დოლარი)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ძირითადი სავაჭრო პარტნიორების საშუალო თვიური გაცვლითი კურსების ცვლილება დოლართან მიმართებით (დეკემბერი 2023; ზრდა=გაუფასურება)




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ლარის ნომინალური და რეალური ეფექტური გაცვლითი კურსები წლიურად გამყარებას განაგრძობს. დეკემბერში წლიურად, ლარის რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი 2.1%-ით, ხოლო ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი 14.8%-ით გამყარდა. რაც შეეხება თვიურ ცვლილებას, წინა თვესთან შედარებით, დეკემბერში ლარის რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი პრაქტიკულად არ შეცვლილა, ხოლო ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი კი 0.8%-ით გამყარდა.

ეფექტური კურსის გამყარება ქვეყნის კონკურენტუნარიანობაზე უარყოფითად აისახება, თუმცა იმპორტირებულ ინფლაციას ამცირებს.


სავაჭრო პარტნიორთაგან დეკემბერში წლიური ინფლაცია თურქეთში, რუსეთში, ბელარუსში, უკრაინაში, აშშ-ში, ევროზონასა და აზერბაიჯანში საქართველოზე მაღალი იყო, ხოლო სომხეთში - დაბალი. ძირითადი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნებიდან ნაწილში ინფლაციის კლების ცვლილება შეინიშნება, თუმცა მთლიანობაში ფასების დონე ჯერ ისევ მაღალ დონეზე ნარჩუნდება.

**ლარის ნომინალური და რეალური ეფექტური
გაცვლითი კურსის ინდექსები (იანვ 2020=100)**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

**სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების ინფლაციები
(დეკემბერი 2023)**




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

სავალუტო ბაზრის ტენდენციები


დეკემბერში ბანკთაშორის სავალუტო ბაზარზე მონაწილეობდა 14 ბანკი და 5¹ არასაბანკო ორგანიზაცია. სავალუტო ბაზრის მაჩვენებლების მიხედვით თვიურად ინდექსი მცირედით გაზრდილია. **შერფინდალ-ჰირშმანის (HH) ინდექსი დაბალ დონეზე ნარჩუნდება, რაც სავალუტო ბაზრის კონკურენტუნარიანობაზე მიუთითებს.**

**ბანკთაშორის სავალუტო ბაზრის
მთლიანი სავაჭრო ბრუნვა**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

**ბანკთაშორის სავალუტო ბაზრის კონტენტრაციის
მაჩვენებლები 5 ყველაზე აქტიური ორგანიზაციის წილებით
მიხედვით**




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დეკემბერში ბანკთაშორის სავალუტო ბაზარზე ვაჭრობის მოცულობა შემცირდა. აღნიშნულ თვეში აშშ დოლარი/ლარის ვაჭრობის მთლიანმა ბრუნვამ 137.0 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა თვესთან შედარებით 78.3 მლნ აშშ დოლარით ნაკლებია, წინა წლის დეკემბერთან შედარებით კი - 106.2 მლნ აშშ დოლარით ნაკლები. ამავდროულად, ბაზრის მონაწილეებს შორის დადებული გარიგებების რაოდენობა წინა თვესთან შედარებით 36.8%-ით, ხოლო წლიურად 16.0%-ით გაიზარდა.


დეკემბერში სავალუტო ბაზარზე ყიდვა-გაყიდვების აქტივობები თითქმის მთლიანად სპოტ² გარიგებებით ხდებოდა (98.7%) და 3,147.0 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წლიურად 148.6 მლნ აშშ დოლარითაა შემცირებული (ხოლო თვიურად კი - 711.2 მლნ აშშ დოლარითაა გაზრდილი). სპოტ გარიგებების ძირითადი ნაწილი იურიდიულ პირებსა და შინამეურნეობებზე, დანარჩენი კი არარეზიდენტ ბანკებზე მოდიოდა. საქართველოს ეროვნული ბანკის წილი მთლიან ვაჭრობაში 0.1% იყო. წესებზე დაფუძნებული ორმხრივი ინტერვენციების მექანიზმის გამოყენებით თვის განმავლობაში ეროვნული ბანკის წმინდა შესყიდვამ 2.0 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

1 რომლებიც მონაწილეობენ ბანკთაშორის სავალუტო ბაზარზე დადებულ გარიგებებში.
2 სპოტ გარიგება ხდება იმავდროული ვალუდირებით, იმ დროისთვის არსებული კურსით.

საბ-ის მონაწილეობა სავალუტო ბაზარზე



საოც გარიგებებით უცხოური ვალუტით ვაჭრობა




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დეკემბერში საოც გარიგებებით კომერციული ბანკებისგან დანარჩენი ეკონომიკური აგენტების მიერ წლიურად უცხოურ ვალუტაზე როგორც მოთხოვნა, ასევე მიწოდება შემცირებულია. საერთო ჯამში, დეკემბერში საოც გარიგებებით კომერციული ბანკებისგან დანარჩენი ეკონომიკური აგენტების მიერ უცხოურ ვალუტაზე მოთხოვნა წლიურად 72.8 მლნ აშშ დოლარით შემცირდა (თუმცა თვიურად 245.5 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა) და 1,615.5 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. ხოლო მიწოდება, წლიურად 75.8 მლნ აშშ დოლარით შემცირდა (თუმცა თვიურად 465.8 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა) და 1,531.5 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. საოც გარიგებებით როგორც ვალუტის შეძენაში, ასევე ვალუტის გაყიდვაში ყველაზე დიდი წილი იურიდიულ პირებსა და შინამეურნეობებზე მოდიოდა.


დეკემბერში სავალუტო ფორვარდ³ გარიგებებით კომერციულ ბანკებსა და სხვა ეკონომიკურ აგენტებს შორის უცხოური ვალუტით ვაჭრობა წლიურად 31.9 მლნ აშშ დოლარით შემცირდა (თვიურად 16.9 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა) და 41.0 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. ფორვარდ გარიგებებით ვაჭრობის ძირითადი ნაწილი არარეზიდენტ ბანკებზე, იურიდიულ პირებსა და შინამეურნეობებზე მოდიოდა. ფორვარდ გარიგებებით დანარჩენი ეკონომიკური აგენტების მიერ ბანკებისგან უცხოური ვალუტის წმინდა შესყიდვამ 20.1 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

ბანკთაშორისი საოც გარიგებებით შექმნილი და გაყიდული უცხოური ვალუტა



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ფორვარდ გარიგებებით უცხოური ვალუტით ვაჭრობა





წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დეკემბერში, წინა თვესთან შედარებით, ოფიციალური საერთაშორისო რეზერვები 112.1 მლნ აშშ დოლარით შემცირდა, რეზერვების მთლიანმა მოცულობამ კი 5.0 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა. კლების მიმართულებით უცხოური ვალუტის წმინდა გაყიდვამ და მთავრობის სავალუტო ხარჯებმა, მათ შორის სესხის მომსახურებამ, იმოქმედა. გარდა ამისა, დეკემბერში ეროვნული ბანკის მიერ სარეზერვო მოთხოვნების დაწევამ სარეზერვო ანგარიშებზე არსებული ნაშთებიც შეამცირა.

3 სავალუტო ფორვარდული კონტრაქტი არის ფართოდ მოხმარებადი ფინანსური ინსტრუმენტი, რომელიც გამოიყენება სავალუტო რისკების ჰეჯირებისათვის (დაზღვევისათვის). ფორვარდი იძლევა შესაძლებლობას, წინასწარ განსაზღვრული კურსით, დღეს დაიდოს სავალუტო გარიგება ხოლო შესაბამისი ანგარიშსწორება განხორციელდეს მომავალში.

ეროვნული ბანკის ოფიციალური საერთაშორისო რეზერვები მთლიანი საერთაშორისო რეზერვების თვიური ცვლილება (მილინობა კურსით)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ფულადი ბაზარი

დეკემბერში სადებოზიტო სერტიფიკატების ერთი აუქციონი ჩატარდა და 20 მლნ ლარის ღირებულის სამთვიანი სადებოზიტო სერტიფიკატი გაიყიდა. ამავე პერიოდში 20 მლნ ლარის ერთი სადებოზიტო სერტიფიკატი დაიფარა. შესაბამისად წინა თვესთან შედარებით, სადებოზიტო სერტიფიკატების ნაშთი არ შეცვლილა და დეკემბრის ბოლოს 60 მლნ ლარი შეადგინა.


დეკემბერში სახაზინო ფასიანი ქაღალდების ექვსი აუქციონი ჩატარდა. აღნიშნულ აუქციონებზე ჯამში 210.0 მლნ ლარის ნომინალური ღირებულების სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები განთავსდა. დეკემბერში ჩატარებულ აუქციონებზე გაიყიდა 6-თვიანი, ერთწლიანი, ორწლიანი, ხუთწლიანი და ორი ათწლიანი ვადიანობების სახაზინო ფასიანი ქაღალდები, რომლებიც, შესაბამისად, 20, 20, 40, 60 და 70 მლნ ლარის ოდენობით განთავსდა. დაფარვების გათვალისწინებით, სახაზინო ფასიანი ქაღალდების ნაშთი წინა თვესთან შედარებით 166.9 მლნ ლარით გაიზარდა და 8,138.1 მლნ ლარი შეადგინა. მთლიანი პორტფელის 56.2%-ს კომერციული ბანკების, 29.4%-ს ეროვნული ბანკის, 11.6%-ს რეზიდენტების, ხოლო 2.9%-ს არარეზიდენტების მფლობელობაში არსებული სახაზინო ფასიანი ქაღალდები შეადგენს.

სადებოზიტო სერტიფიკატების მოცულობა (ნაპალი)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


სახაზინო ფასიანი ქაღალდების მოცულობა



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


დეკემბერში სადებოზიტო სერტიფიკატების საპროცენტო განაკვეთი შემცირდა, სახაზინო ვალდებულებების საპროცენტო განაკვეთები კი მცირედით შეიცვალა. კერძოდ, დეკემბერში, წინა თვესთან შედარებით, სადებოზიტო სერტიფიკატებზე საშუალო შენონილი საპროცენტო განაკვეთი 0.15 პპ-ით, 9.00%-მდე, შემცირდა. რაც შეეხება სახაზინო ვალდებულებების საპროცენტო განაკვეთებს, ექვსთვიანი და ერთწლიანი სახაზინო ვალდებულებების საპროცენტო განაკვეთები 0.19 და 0.02 პპ-ით შემცირდა და შესაბამისად, 9.07% და 9.02% შეადგინა. სახაზინო ორწლიანი, ხუთწლიანი და ათწლიანი სახაზინო ობლიგაციების საშუალო შენონილი საპროცენტო განაკვეთები გაიზარდა, 0.01, 0.10 და 0.07 პპ-ით, და შესაბამისად 8.39%, 8.36% და 8.43% შეადგინა.

ფულადი ბაზრის საპროცენტო განაკვეთები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ლარის შემოსავლიანობის გრადი




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დეკემბერში ბანკთაშორის ფულადი ბაზრის მოცულობა, თვიურად 1,853.4 მლნ ლარით (წლიურად 2,499.9 მლნ ლარით შემცირდა) 12,967.9 მლნ ლარამდე გაიზარდა. რაც მეცნილად უცხოური ვალუტის რესურსით არის განპირობებული. ბანკთაშორის ფულადი ბაზრის დიდი წილი, უცხოური ვალუტის ბრუნვაზე მოდის (73.7%), რომლის მოცულობაც თვიურად 1,269.0 მლნ ლარით (15.3%-ით) გაიზარდა. ლარის რესურსის ბრუნვის მოცულობა კი, თვიურად 584.4 მლნ ლარით (20.7%-ით) შემცირდა.

რაც შეეხება საპროცენტო განაკვეთებს, ბანკთაშორის ბაზარზე ლარის ვალუტის რესურსზე საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი წინა თვესთან შედარებით 0.1 პპ-ით შემცირდა და 9.73% შეადგინა, ხოლო უცხოური ვალუტის რესურსზე საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი 0.1 პპ-ით გაიზარდა და 2.85% შეადგინა.

აღსანიშნავია, რომ დეკემბერში ფულადი ბაზრის რესურსის 32.7% ერთ თვემდე ვადიანობის დეპოზიტებზე, ხოლო 66.3% კი მიმდინარე ანგარიშებზე განთავსებულ რესურსზე მოდიოდა.

ბანკთაშორის ფულადი ბაზარი




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

მონეტარული აბრეგატები

დეკემბერში, წინა თვესთან შედარებით, სარეზერვო ფულის მოცულობა 1,158.9 მლნ ლარით (17.7%-ით) გაიზარდა და პერიოდის ბოლოსთვის 7.7 მლრდ ლარი შეადგინა. მონეტარული ბაზა საშუალო მაჩვენებლის მიხედვით წინა თვესთან შედარებით, 6.3 მლნ ლარით (0.1%-ით) გაიზარდა.


საბანკო სისტემაში შიდა სამთავრობო კონვერტაციებით, ეროვნული ბანკის წმინდა სავალუტო გაყიდვებმა 14.0 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. სავალუტო ინტერვენციებში ეროვნულ ბანკს მონაწილეობა არ განუხორციელებია. BMatch პლატფორმის წესებზე დაფუძნებული მექანიზმის გამოყენებით ეროვნული ბანკის წმინდა შესყიდვებმა დეკემბრის განმავლობაში 2.0 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. მთლიანობაში შიდა სამთავრობო კონვერტაციებით, სავალუტო ინტერვენციებით და BMatch მექანიზმით, წმინდა უცხოური აქციები დაახლოებით 12.0 მლნ აშშ დოლარით შემცირდა. დეკემბერში მთავრობის დეპოზიტებზე არსებული სახსრები 1,364.3 მლნ ლარით გაიზარდა და მისი მოცულობა პერიოდის ბოლოსთვის 2,445.7 მლნ ლარს გაუდოლდა.

სარეზერვო ფულის თვიური ცვლილება კომპონენტების მიხედვით



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ფულადი აგრეგატი




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დეკემბერში ნაღდ ფულზე მოთხოვნა 428.5 მლნ ლარით გაიზარდა. რეფინანსირების სესხები წინა თვესთან შედარებით 1,730.0 მლნ ლარით გაიზარდა. აღნიშნულ თვეში ერთთვის სესხი არ გაცემულა და შესაბამისად მისი ნაშთი უცვლელია. ერთდღიანი სესხის ნაშთი 735.0 მლნ ლარით გაიზარდა. ამავე პერიოდში, მცირე და საშუალო ბიზნესის ლიკვიდობის მხარდამჭერი სესხის ნაშთი 136.7 მლნ ლარის ოდენობით დაიფარა და განულდა. დეკემბერში, განთავსდა და დაიფარა 20 მლნ ლარის ნომინალური მოცულობის სადეპოზიტო სერტიფიკატები. მეორად ბაზარზე სახაზინო ფასიანი ქაღალდების შესყიდვა არ ყოფილა. მთლიანობაში, დეკემბერში ბანკების წმინდა დავალიანების მოცულობა 2,216.2 მლნ ლარით გაიზარდა და პერიოდის ბოლოსთვის, 3,675.8 მლნ ლარს გაუცოლდა.


დეკემბერში ფართო ფულის (M3) მოცულობა თვიურად 1,676.0 მლნ ლარით გაიზარდა, ძირითადად ეროვნული ვალუტის დეპოზიტების ზრდის გავლენით. რაც შეეხება M2 აგრეგატს, მისი მოცულობა 1,494.5 მლნ ლარით გაიზარდა.

საბანკო საქმის ლიკვიდობაზე მოქმედი ფაქტორები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

მონეტარული ოპერაციები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საქართველოს ეროვნული ბანკი 0114, ზვიად გამსახურდიას სანაპირო N1
ტელ: 240 64 88; ფაქსი: 240 65 77; ტელეფონური ხაზი: 240 64 06
ელ ფოსტა: info@nbg.ge; www.nbg.ge

